ქვახვრელის სატუმბი სადგური ჩაირთო

04 ივნისი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე საქართველოს მელიორაციის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელთან გაბრიელ მაზმიშვილთან ერთად ქავხვრელში საირიგაციო სისტემაზე ჩატარებულ სამუშაოებს გაეცნო. სატუმბი სადგური ტექნიკური პრობლემების გამო დროებით შეფერხებით მუშაობდა, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურებისა და საქართველოს მელიორაციის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად საკითხი დროულად გადაიჭრა. აღნიშნული სადგურის ჩართვის შედეგად სოფლები - დოესი, ხოვლე და გრაკალი სარწყავი წყლით უზრუნველყოფილები იქნებიან. ამავდროულად, უახლოეს პერიოდში იგეგმება სასირეთისა და კავთისხევის სატუმბი სადგურების ჩართვაც, რის შემდეგაც 15-მდე სოფელი გასარწყავიანდება.

,,სამელიორაციო სისტემების მოწესრიგება ჩვენი რეგიონისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, რადგანაც სოფლის მეურნეობა რეგიონის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ შესაბამის სამსახურებთან, რათა ადგილობრივ ფერმერებს გამართული ინფრასტრუქტურა მოემსახუროს და შესაძლებლობა ჰქონდეთ შეუფერხებლად აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.” - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.